საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დვალი დავით ირაკლის ძე

დვალი დავით ირაკლის ძე (დ. 5. IV. 1950, სოფ. საბუე, ახლანდ. ყვარლის მუნიციპალიტეტი), ელექტროტექნიკოსი, ტექ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1995). 1972 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის კავშირგაბმულობისა და ელექტრონიკის ფაკ-ტი, სამრეწველო ელექტრონიკის სპეციალობით. 1975-იდან მუშაობს ამავე ინ-ტში (ახლანდ. საქართვ. ტექ. უნ-ტი) სამრეწველო ელექტრონიკის კათედრაზე. პედ. მოღვაწეობასთან ერთად ეწევა სამეცნ.-კვლ. საქმიანობას. 1987 ჩამოაყალიბა ელექტრონული ტექნიკის სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია. არის მრავალი დანერგილი პროექტის ავტორი. დ-ის სამეცნ. კვლევის თემაა – შეუფერხებელი და ხარისხიანი ელექტროკვების ტექნოლოგიები, არატრადიციული ენერგოტექნოლოგიები და სხვ. 1994–97 ჩაატარა სამუშაოები ტექნიკური ელექტრონიკის კათედრის ლაბორატორიული ბაზის მოდერნიზაციისა და ტექ. გადაიარაღების მიმართულებით.

თხზ.: ნახევრადგამტარული გარდამქმნელების ესკიზური დაპროექტება, თბ., 1993 (თანაავტ.: გ. დგებუაძე, ა. კერესელიძე).